

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება

### მუხლი 1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულია მისი სტატუსი, ფუნქციები, სისტემა და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხები.
2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. სამსახური თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერის წინაშე.

### მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები და ამოცანები

სამსახური ფუნქციები და ამოცანებია:

- ა) განათლების სისტემის წინაშე მდგრადი ამოცანების განხორციელების მხარდაჭერა;
- ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია, სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო და სპორტული განათლების დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაცია და კონტროლი (სამუშაო პროცესზე, პროგრამების განხორციელებაზე);
- გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშების, ფოლკლორის, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, მემორიალური, რელიგიური, ესთეტიკური, მხატვრული, მეცნიერული თუ სხვა კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა, დაცვა, შენარჩუნება, პოპულარიზაცია შესაბამის არასათანადო და თვითნებური ქმედებების აღკვეთა შესაბამის სამსახურთან ერთად;
- დ) თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების, ჭიდაობის, ჭადრაკის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, ბაზიერთა ხელსაყრელი პირობების შექმნა, ასევე თანამედროვე ხელოვნებისა და სპორტის სხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანი გარემოს განმტკიცება;
- ე) მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული განვითარებისათვის, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
- ვ) სპორტისა და კონკრეტული სახეობების ტრადიციების შენარჩუნების, დაცვის, არსებული პრობლემების დაძლევისა და სპორტის ძირითადი მიმართულებების განვითარების პროექტის შემუშავება, მათი განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინაცია;
- ზ) მასობრივ გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებათა ერთიანი კალენდარული გეგმის შემუშავება;
- თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველი, ინვალიდ და მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ხელშეწყობი პროექტების განხორციელება.
- ი) სათანადო პროექტებისა და საქმიანობების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს მოზარდებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას;
- კ) ნიჭიერი მოზარდებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ლ) ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო კულტურული, სპორტული ღონისძიებების, სხვადასხვა ფესტივალის, გაცვლითი პროგრამების, გამოფენების, ბიენალეების, კონკურსების, სპორტული ტურნირებისა თუ შეჯიბრებების, სხვადასხვა ბანაკებისა თუ სხვა ღონისძიებებში მონაწილე ჯგუფთა თუ ინდივიდუალურ შემსრულებელთა ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება;

მ) სამსახურის სამოღვაწეო არეალში არსებული კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტის, ტურიზმისა და კურორტების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და საინფორმაციო ბაზის შექმნა;

ნ) კულტურის, განათლების, სპორტის, კულტურული მემკვიდრეობისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში საინფორმაციო და საქველმოქმედო საქმიანობების განხორციელების ხელშეწყობა;

მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და პრიორიტეტულ სახეობათა შერჩევა შესაბამის სამსახურებთან ერთად;

ო) მუნიციპალიტეტის მასშტაბით მასობრივი გამაჯანსაღებელი, სპორტული ღონისძიებების, სპორტული მოძრაობების, სპორტული შეჯიბრებების და სასწავლო-საწვრთნელი შეჯიბრებების მოწყობის კოორდინაცია, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სპორტის სახეობების მიხედვით პირველობების ჩატარების ხელმძღვანელობა და ნაკრები გუნდების მივლინება რესპუბლიკურ პირველობაზე;

პ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, მათი ატესტაციისა და პროფესიული დონის განსაზღვრის ხელშეწყობა;

ჟ) მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით სამსახური თანამშრომლობს საზღვარგარეთის ანალოგიური ტიპის ორგანიზაციებთან, საქმიანობისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

### **მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა**

სამსახური შედგება:

ა) სამსახურის უფროსი;

ბ) კულტურის განყოფილება;

გ) სამსახურის თანამშრომლები - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები;

### **მუხლი 4. სამსახურის უფროსი**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებასა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) უზრუნველყოფს სამსახურის პრეროგატივით განსაზღვრული საკითხების მოწესრიგებას, უშუალო ხელმძღვანელობას უწევს თანამშრომლებს დაკირებულ მოვალეობათა შესრულების საქმეში;

გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების წესს, ფორმებსა და მეთოდებს, სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

დ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ე) უზრუნველყოფს მოსამსახურეთა მიერ მერიის შინაგანაწესის დაცვას;

ვ) მუნიციპალიტეტის მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.

2. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მერის ბრძანებით მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის განყოფილების უფროსი.

## **მუხლი 5. კულტურის განყოფილება**

1. განყოფილების ფუნქციებია:

- ა) კულტურის სფეროში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;
- ბ) ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო კულტურული პროგრამების შესასრულებლად გამოყოფილი იმ თანხების რაოდენობის დადგენაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ნაწილდება კულტურული პროგრამების მიხედვით, სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;
- გ) კულტურული მემკვიდრეობის მქონე ძეგლებზე, ნაგებობებსა და სხვა ისტორიული მემკვიდრეობის ფასეულობებზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღმოფხვრა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება, პოპულარიზაცია;
- დ) მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის კოორდინაცია;
- ე) სახელმწიფო სამუზეუმო პოლიტიკის გატარებაში მონაწილეობის მიღება;
- ვ) საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ხელშეწყობა;
- ზ) საკურორტო სეზონის მზადებისათვის პრიორიტეტული საქმიანობების გამოყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კურორტებზე დამსვენებელთათვის სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების განხორციელება;
- თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ღირსშესანიშნაობების გათვალისწინებით ტურისტული პროდუქციის მომზადება და შეთავაზება ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის;
- ი) ადგილობრივი კულტურული ძეგლების დაცვასა და შენარჩუნებაზე ზრუნვა;
- კ) ტურიზმის სფეროში დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამის ხელშეწყობა;
- ლ) ტურიზმის სფეროში დამეგობრებული სხვა ქალაქების შესაბამის სამსახურებთან ერთად თანამშრომლობა, არსებული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა და ახალი ურთიერთობების დამყარება.

2. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

3. განყოფილების უფროსი:

- ა) წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
  - ბ) ახორციელებს განყოფილების საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;
  - გ) ანაწილებს დავალებებს განყოფილების მოსამსახურეებს შორის;
  - დ) პასუხისმგებელია განყოფილებისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;
  - ე) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს განყოფილების მოსამსახურეთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;
  - ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის ბრძანებით, განყოფილების უფროსის ფუნქციის შესრულება ეკისრება განყოფილების ერთ-ერთ მოხელეს.

## **მუხლი 6. სამსახურის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები**

1. სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

2. სამსახურის თანამშრომლებს უფლება აქვთ:

- ა) უშუალო ხელმძღვანელს წარუდგინონ წინადადებები მათი საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;
- ბ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;
- გ) ისარგებლონ საინფორმაციო და სხვა მასალებით;
- დ) დააყენონ უშუალო ხელმძღვანელის წინაშე საკითხი მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;
- ე) დადგენილი წესით ისარგებლონ ორგანიზაციული, გასამრავლებელი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით, სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;
- ვ) ისარგებლონ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

**3. სამსახურის თანამშრომლები ვალდებული არიან:**

- ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით განსაზღვრული მოვალეობანი;
- ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები;
- გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;
- დ) იმუშაონ თავისი პროფესიონალური მომზადების დონის ასამაღლებლად;
- ე) განუხრელად შეასრულონ დადგენილი შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები;
- ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახაზინო ქონებას.

**მუხლი 7. სამსახურის დებულებაში ცვლილების და დამატების შეტანა**

სამსახურის დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესის შესაბამისად.